

მძიმე სტრესზე პიროვნების
რეაქციის და ადაპტაციის
დარღვევების დიაგნოსტიკა და
მკურნალობა

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „მძიმე სტრესზე პიროვნების რეაქციის და ადაპტაციის დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2008 წლის 5 ნოემბრის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 დეკემბრის № 282/ო ბრძანებით.

მძიმე სტრესზე პიროვნების რეაქციის და ადაპტაციის დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა

ბაიფლანინი განკუთვნილია

- ⇒ ფსიქიატრების, პირველადი ჯანდაცვის და სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების პერსონალისათვის, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ პოსტტრავმული სტრესული აშლილობის, სტრესზე მწვავე რეაქციის ან ადაპტაციის დარღვევების მქონე სხვადასხვა ასაკის პაციენტებთან;
- ⇒ შეიძლება გამოყენებული იქნას ფსიქოთერაპევტებისათვის და სოციალური მუშაკების მიერ;
- ⇒ შეიძლება გამოყენებული იყოს უმაღლესი და საშუალო სამედიცინო დაწესებულებების პედაგოგების მიერ, ასევე უწყვეტი პროფესიული განათლებისათვის.

1. დაავადების დეფინიცია, სინონიმები, ტერმინოლოგია და კლასიფიკაცია

ICD-10-ის მიხედვით, რეაქცია მძიმე სტრესზე და ადაპტაციის დარღვევები აერთიანებს სამ ძირითად დიაგნოსტიკურ ქვეკატეგორიას:

- მწვავე სტრესული რეაქცია;
- პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა);
- ადაპტაციის დარღვევები.

ფსიქიკური აშლილობის ეს ქვეკატეგორიები განსხვავდება ნევროზული და სტრესთან დაკავშირებული სხვა აშლილობებისაგან იმით, რომ მათი განსაზღვრა ხდება არა მარტო სიმპტომატოლოგიის და მიმდინარეობის, არამედ ორი ძირითადი მიზეზობრივი ფაქტორიდან ერთ-ერთის აუცილებელი არსებობის საფუძველზე:

- განსაკუთრებით ძლიერი სტრესული მოვლენა, რომელიც იწვევს მწვავე სტრესულ რეაქციას (მოგვიანებით შეიძლება განვითარდეს პტსა);
- მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ცვლილება, რომლის შედეგადაც პიროვნება ხანგრძლივი დროის მანძილზე ექცევა მატრავმირებელ გარემოში, რის შედეგადაც ვითარდება ადაპტაციის უნარის დარღვევა.

ამდენად, აშლილობების აღნიშნული კატეგორია ყოველთვის აღმოცენდება მძიმე და მწვავე სტრესის ან პროლონგირებული ძლიერი ფსიქომატრავმირებელი სიტუაციის შედეგად. სტრესული მოვლენა ან გახანგრძლივებული, უსიამოვნო გარემო პირობები წარმოადგენს პირველად და ძირითად მიზეზს, რომლის ზემოქმედების გარეშეც ეს აშლილობები ვერ აღმოცენდება.

ტიპიური ტერმინოლოგია:

სტრესი - არასპეციფიკური ადაპტაციური რეაქცია, რომელიც მუდმივად არსებობს მთელი ცხოვრების მანძილზე;

დისტრესი - საზიანო, უარყოფითი სტრესული ზემოქმედება. ვლინდება ფსიქომატრავმირებელი ფაქტორების ზემოქმედების შემდეგ უარყოფითი ემოციური – რეაქციების, შფოთვის და ადაპტაციის უნარის დაკარგვის სახით;

ცხოვრებისეული მოვლენა – ნაკლები ინტენსივობის ფსიქოსოციალური სტრესი, გამოწვეული სოციალურ გარემოში მომხდარი ცვლილებებით;

ტრავმული მოვლენა - ისეთი სტრესორების ნაკრები, რომელთაც ზოგადად განვიხილავთ როგორც უარყოფით გამოცდილებას, რომელიც ტვირთავს ინდივიდის პიროვნულ რესურსებს (იგულისხმება პრობლემის გადაჭრის უნარი – “coping abilities”);

სტრესული სიტუაცია - მწვავედ აღმოცენებული და ხანგრძლივად შენარჩუნებული შეუსაბამობა ორგანიზმის მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს შორის;

სტრესორი - ფსიქომატრავმირებელი მოვლენები, რომლებიც სტრესს იწვევს და ახასიათებს თვისობრივი და რაოდენობრივი ასპექტები. სტრესორები იყოფა კატეგორიებად: ქვეზღურბლოვანი სტრესორები, პოტენციურად მატრავმირებელი მოვლენები (DSM-IV-ის მიხედვით კრიტერიუმი A) და მატრავმირებელი მოვლენები (კრიტერიუმ A1-A2-თან თანმხვედრი);

ფლეშბეკი – Flashback - დისოციაციური ეპიზოდები, როცა მატრავმირებელი მოვლენა და ის, რაც მას წინ უძღოდა, კვლავ მეორდება გონებაში თავსმოხვეული, გაცოცხლებული ხატების ან სურათების სახით.

ისტორიული მიმოხილვა: (30)

პტსა-ის სიმპტომები კაცობრიობისათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი, მაგრამ მისი ინტენსიური შესწავლა გასული საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება და უკავშირდება J.Erichsen-ის (1867), J.Da Costa-ს (1871), J.J.Putnam-ის (1883), H.W.Page-ის (1885), H.Oppenheim-ის (1888), P.Janet-ს (1907), C.Barrois-ის (1907), D.Honingmann-ის (1907), E.Stierlin-ის (1911), J.Fromet-ის (1918) და სხვათა სახელებს. XX საუკუნის 50 წლებისათვის პოსტტრავმული სინდრომს უკვე ჰქონდა ინდივიდუალური, მკაფიოდ გამოკვეთილი აღწერილობა (W.Menninger, 1946) და, ამიტომაც, 1952 წელს ფსიქიკურ დაავადებათა ამერიკულ კლასიფიკაციაში (DSM-I) გარდამავალი სიტუაციური პიროვნული აშლილობის ფარგლებში პირველად იქნა აღწერილი დიდი სტრესული რეაქცია. მოგვიანებით, 1980 წელს, სინდრომთა თავმოყრა მოხდა DSM-III-ში პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სახელწოდებით. პტსა-ის დიაგნოსტიკების DSM-III-ის კრიტერიუმებში შესაძლებელია აღმოვაჩინოთ ყველა ის ძირითადი სიმპტომი, რაც სხვადასხვა პერიოდში ჰქონდათ მკვლევარებს აღწერილი: კოშმარები, ინსომნია, საზარელი ხატები და გამღიზიანებლობა (Erichsen J., 1867; Putnam J., 1883 - "Railway spine syndrome"); კრთომის რეფლექსი, ავტონომიური ჰიპერრეაქტიულობა (Mott F.W., 1919 - Startle reflex); მეხსიერებისა და კონცენტრაციის პრობლემები (Strumpell, 1895); ტრავმის განმეორებითი განცდის ფენომენი (Mott F.W., 1919; Kardinger A., 1941); სოციალური განსვლა (Sutherland J.D.,

1941); სოციალური კავშირებისთვის თავის არიდება, ბრალეულობის განცდა (Lindemann E., 1944); ამნეზია ("ომის ნევროზის" ფარგლებში დამოუკიდებელ სინდრომად გამოყოფილი - W.Sargant et al., 1941). 1939 წელს S.Freud-ი საუბრობდა ბავშვთა ასაკის ტრავმული გამოცდილების პოზიტიურ და ნეგატიურ გავლენაზე. პოზიტიურ ეფექტს შესაძლოა მივაკუთვნოთ ტრავმის "გაცოცხლება", ხოლო ნეგატიურ რეაქციებს მიეკუთვნება ტრავმასთან ასოცირებული დავიწყებული მოგონებებისა და ქცევებისათვის თავის არიდების ფენომენი.

1976 წელს M.J.Horowitz-მა პოსტტრავმული სიმპტომები დააჯგუფა თავსმოსხვეული ხატების და თავის არიდების (უარყოფის) ფენომენების მიხედვით, რაც, საბოლოოდ, DSM-III-ის ორგანიზაციულ ტიპოლოგიად იქცა. დღეისთვის, ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის განმარტებით, პტსა განიხილება როგორც ორგანიზმის საპასუხო რეაქცია ისეთ ფსიქიკურ ტრავმაზე, რომელიც სცილდება ნორმალური ადამიანური გამოცდილების საზღვრებს.

პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობათა მიმართ ქართულ ფსიქიატრიაში ინტერესი ვლინდება 80-იანი წლების დასასრულს. მაგრამ კვლევები, რომელიც შეისწავლიდა ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ფსიქომატრავმირებელი მოვლენების ზეგავლენას, ტარდებოდა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში და დაკავშირებულია მ.ასათიანის (1920), მოგვიანებით კი ა.ზურაბაშვილის (1957, 1963), ი.მენთემაშვილის (1957), ო.ჭითავას (1957, 1963, 1995), ბ.სვანის (1963), და სხვათა სახელებთან. ბოლო წლებში ამ საკითხებზე მუშაობდნენ ბ.ნანეიშვილი და სხვ., 1990; ი.ლაზარიშვილი, 1993; გ.ნანეიშვილი და სხვ., 1995; ნ.დუდუშავა და სხვ., 1990; მ.ჯიშკარიანი და სხვ., 1997, ნ.ოკრიბელაშვილი, 1999. მკვლევართა ყურადღება აგრეთვე მიექცა პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ასაკობრივ (დ.ზურაბაშვილი, 1998) და სასამართლო-ფსიქიატრიულ ასპექტებს (თ.ხარებავა, 1996).

2. პტსა-ის ეპიდემიოლოგია (33, 45, 62)

- პტსა დღეისათვის საკმაოდ გავრცელებული და ხშირი აშლილობაა, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსახლეობას ხშირი შეხება აქვს ძალადობასთან;
- სხვადასხვა პოპულაციების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პტსა-ს გავრცელება საერთო მოსახლეობაში მერყეობს 1-14%. რისკის ჯგუფებში (ომის ვეტერანები, ძალადობის მსხვერპლნი) 23-56%;
- აშშ-ში ჩატარებული მოსახლეობის კოჰორტული კვლევებით დადგენილია, რომ ქალების 51%-ს და მამაკაცების 61%-ს სიცოცხლის მანძილზე გადატანილი აქვთ ერთი ტრავმული მოვლენა მაინც;
- 5.2 მილიონ ამერიკელ მოზრდილს (18-54წ.) ანუ დაახლოებით მოსახლეობის 3.6%-ს აქვს პტსა;
- ტრავმული გამოცდილების შემდეგ პტსა ქალებში 2-ჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცებში;
- აშშ-ში ჩატარებული კოჰორტული კვლევებით დადგინდა, რომ ტრავმული გამოცდილების მქონე პირთა 9-25%-ში საბოლოოდ ვითარდება პტსა;
- მწვავე სტრესული რეაქციის შემდეგ 80%-ში საბოლოოდ ვითარდება პტსა. (27; C დონის მტკიცებულება);

- პტსა აშლილობა ვითარდება იმ პირების 4.3%-ში, რომელთაც ტრავმული მოვლენა გადაიტანეს მწვავე სტრესული აშლილობის გარეშე;
- აშლილობა ვითარდება ნებისმიერ ასაკში, ადრეული ბავშვობის ჩათვლით. გამომწვევეი სიტუაციების ბუნებიდან გამომდინარე ყველაზე ხშირია დასაწყისი ახალგაზრდა ასაკში;
- საერთო პოპულაციაში პტსა ხშირად შერწყმულია სხვა ფსიქიკურ აშლილობებთან (აფექტური და შფოთვითი აშლილობები, ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები);
- მამაკაცებში სტრესორის როლში უფრო ხშირად გვევლინება განცდები, დაკავშირებული ომთან, საბრძოლო მოქმედებებთან, ხოლო ქალებში – თავდასხმა და გაუპატიურება;
- საქართველოში სოციალური სტრესების რანდომიზირებული კვლევის ფარგლებში (ნ. ოკრიბელაშვილი, 1998) დადგენილია, რომ იძულებით ადგილნაცვალთა შორის 33,3%-ში გამოიკვეთა გახანგრძლივებული პტსა-ს დიაგნოზი. პტსა-ის დიაგნოზი საკონტროლო, პრაქტიკულად ჯანმრთელი პირების ჯგუფში დაესვა 20%, რაც კორელაციაშია ლიტერატურაში არსებულ მონაცემებთან.

3. პტსა-ის მთიოპათოგენეზი

დღეისათვის ითვლება, რომ პტსა არის “გასაგები” რეაქცია დისტრესულ გარემო სიტუაციაზე და იგი შეიძლება განუვითარდეს ნებისმიერ ინდივიდს, ანუ კაუზალური მნიშვნელობა ენიჭება ტრავმას. პტსა-ს განვითარებაში მნიშვნელოვანია ინდივიდის ცხოვრების ისტორია, ფსიქიკური და სომატური მდგომარეობა, მსოფლმხედველობა, ძირითადი ფასეულობებები და მორალური ღირებულებები. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ტრავმული მოვლენების შეთავსება ისეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებთან, როგორცაა: უძილობა, სიცივე, შიმშილი, ელექტროობის, წყლის უქონლობა და სხვა, რასაც მიუყვართ პიროვნების დაცვითი მექანიზმების გამოფიტვასთან, და პტსა განვითარებისათვის იქმნება პათოლოგიურად შეცვლილი ნიადაგი. ასევე მნიშვნელოვანია ეთნო-კულტურული, რელიგიური თავისებურებები, გარემომყოფი სოციუმის შეფასება, საზოგადოების რეაქცია და მეორადი ფსიქოტრავმები მატრავმირებელი მოვლენების დამთავრების შემდეგ. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პტსა-ს სიმპტომების სიმყარეზე და აშლილობის მიმდინარეობაზე.

რის-კვაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ პტსა-ს აღმოცენებას განაპირობებენ მის სიმძიმესა და პროგნოზს და წარმოადგენენ საუკეთესო პრედიქტორებს მისი განვითარებისათვის. ისინი პირობითად იყოფა სამ კატეგორიად: გარემო-სოციალური, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური. რაც შეეხება მეორე და მესამე კატეგორიებს, მათ ახასიათებთ ერთიანობა და მჭიდრო ურთიერთკავშირი. გამაერთიანებელ რგოლს წარმოადგენს ინდივიდის ფსიქო-დინამიკური მახასიათებლები.

მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები. რიგი გამოკვლევები მიუთითებენ, რომ პტსა-ს მქონე პირებს ახასიათებს MMPI-ს მოდალური კოდი 2-8/8-2, რაც მიუთითებს მათ სოციალურ ინტროვერტულობაზე, პიროვნებათაშორისი მგრძობიანობის მაღალ დონეზე, სოციალურ ცხოვრებაში შეხლულულ ჩართულობაზე, სხვა პირებისაგან დამოკიდებულებაზე და

გამლიზიანებლობაზე. ასეთი პიროვნული მახასიათებლების მქონე ადამიანებს აქვთ შიში, რომ დაკარგავენ კონტროლს საკუთარ ემოციებზე და ამიტომ უარყოფენ არასასურველ ემოციებს. პიროვნული შფოთვის მაღალი დონე ასევე კავშირშია პტსა-სთან. როგორც მამაკაცებში ასევე ქალებში აღინიშნება უარყოფითი კორელაციური კავშირი ისეთ პარამეტრებში, როგორიცაა გულადობა და პტსა. პტსა კავშირშია აგრეთვე მოსაზღვრე, ობსესიურ-კომპულსიურ, პარანოიალურ აშლილობებთან, აგრეთვე ანტისოციალურ პარანოიალურ და ნარცისულ ქცევასთან. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით პერიტრავმული დისოციაცია (სუბიექტის დისოციაციური განცდები უშუალოდ ტრავმის განცდის მომენტში) წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს პტსა-ის განვითარებისათვის და გასაგებს ხდის წარმოშობილ სიმპტომთა 30%-ს. ცნობილია აგრეთვე, რომ ინტელექტის დაბალი დონე ზრდის პტსა-ს განვითარების ალბათობას.

ბიოლოგიურად ორიენტირებული თეორიების თანახმად, ავადმყოფებს, რომელთაც უვითარდებათ პტსა, პრემორბიდში აღენიშნებოდათ სტრესსზე გამოსატული ვეგეტატიური რეაქტიულობისადმი მიდრეკილება. პტსა-ს მქონე პაციენტებში, ტრავმის განმეორებადი განცდის დროს, აღმოჩენილია კატექოლამინების მაღალი კონცენტრაცია ნერვულ უჯრედებში. ვიეტნამის ომის ვეტერანებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ხანგრძლივი და ინტენსიური საგანგებო მასტიმულირებელი ზემოქმედების შედეგად თავის ტვინის ქერქის ნეირონებში ხდება ცვლილებები, კერძოდ სინაფსური გადაცემის შეფერხება და ნეირონების კვდომაც კი. პირველ რიგში ზიანდება ტვინის ის უბნები, რომლებიც დაკავშირებულია აგრესიულობასა და ძილის ციკლის კონტროლთან.

პტსა-ის ეტიოლოგიაში ფუნდამენტურ როლს თამაშობს გლუტამატური, ნორადრენერგული, სეროტონინერგული და ნეიროენდოკრინული გზების ბიოლოგიური დისრეგულაცია. ეს ბიოლოგიური ცვლილებები იწვევს ტვინის სტრუქტურულ და ფუნქციურ ცვლილებებს, რაც მანიფესტირდება ისეთ სიმპტომებში, როგორიცაა – ჰიპერრეაგირება (აგზნებადობა) და ფლემშეკები – რაც კლასიკურად ასოცირდება პტსა-სთან.

დღეისათვის მრავალი ნეიროვიზუალური კვლევით დადგენილია, რომ პტსა-ის დროს გარკვეულად ზიანდება ცნს-ის ზოგიერთი უბანი. მაგალითად, აღწერილია ტემპორალური წილის მოცულობის შემცირება და ფრონტალური წილის “დეფიციტი”. პტსა-ის მქონე პაციენტებს ასევე აღენიშნებათ ჰიპოკამპის მოცულობაში შემცირება. ამასთან, ჯერჯერობით არ არსებობს დამაჯერებელი მონაცემები იმისა, რომ ჰიპოკამპის მოცულობის შემცირება არის უშუალოდ ტრავმის ექსპოზიციის მიზეზი. შესაძლოა – ეს არის ადრე არსებული პათოლოგია, რომელიც პტსა-ის განვითარებისათვის რისკის ფაქტორს წარმოადგენდა. აშშ-ში ამ მიმართულებით გრძელდება კვლევები სპეციფიკურ კონტინგენტში, კერძოდ, ჯარისკაცების, როგორც მაღალი რისკის ჯგუფის, როგორც ტრავმის წინარე, ასევე შემდგომ პერიოდებში შესწავლის მიზნით.

გენეტიკურმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ პტსა-ს სიმპტომთა 30% აქვს გენეტიკური საფუძველი. სიბესების გამოკვლევების შედეგებით დასტურდება, რომ პტსა-ს სიმძიმე მეტად გამოსატულია იმ შემთხვევებში, როდესაც ერთ-ერთ ტყუპს აქვს პტსა. ამავე დროს უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან მონოზიგოტური სიბესები.

4. პტსა-ის კლინიკური სიმპტომატიკა

კლინიკური სურათი ჩვეულებრივ მოიცავს შემდეგ სიმპტომებს:

- ძილის დარღვევა. ავადმყოფს აღენიშნება ჩაძინების გაძნელება. ძილის დროს მატრავმირებელი სიტუაციის ამსახველი კოშმარული სიზმრების გამო ხშირი გამოღვიძებები, რომლის დროსაც გამოხასტულია დეზორიენტაცია და ხშირად აგრესიულობა პარტნიორის მიმართ;
- სოციალური განრიდება, დისტანცირება გარშემომყოფებისაგან, მათ შორის უახლოესი ადამიანებისაგან. სუბიექტი კარგავს ინტერესს საყვარელი საქმიანობისადმი. ვერ ავლენს ემოციურ განცდებს;
- ქცევის შეცვლა. ექსპლოზიური აფეთქებები, გამღიზიანებლობა და მიდრეკილება ფიზიკური ძალადობისადმი სხვის მიმართ;
- ტრავმული სიტუაციის განმეორებითი განცდა ხატოვანი ეპიზოდური მოგონებების სახით (Flashbacks), რომელიც შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წამიდან რამდენიმე საათამდე;
- ფსიქოპათიური ნივთიერებებისადმი (ალკოჰოლი, ნარკოტიკები) მიდრეკილება, განსაკუთრებით ავადმყოფური განცდების, მოგონებებისა და შეგრძნებების “სიმწვავის მოხსნისათვის”;
- ანტისოციალური ქცევა ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;
- დეპრესია, სუიციდური აზრები ან თვითმკვლელობის მცდელობები;
- შფოთვითი დაძაბულობის ან ფსიქოლოგიური არამდგრადობის მაღალი დონე;
- არასპეციფიკური სომატური ჩივილები (მაგ. თავის ტკივილი).

პტსა დიაგნოზის დასმისათვის აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილ სიმპტომთა ჯგუფებიდან როგორც მინიმუმ ორის არსებობა ტრავმიდან ერთი თვის განმავლობაში.

პტსა-ის მიმდინარეობა და გამოსავალი

პტსა-ის სრული სინდრომი ჩვეულებრივ ვითარდება ტრავმიდან გარკვეული დროის შემდეგ. სიმპტომები მუდამდებელი პირველი სამი თვის განმავლობაში, თუმცა შესაძლებელია რამდენიმე თვით ან წლით დაგვიანებული დასაწყისი. ხშირად აშლილობა იწყება უშუალოდ სტრესის შემდეგ. ამ შემთხვევაში ისმება დიაგნოზი მწვავე პტსა. ამავე დროს ეს დიაგნოზი გამოიყენება, როდესაც სიმპტომების ხანგრძლივობა არ აღემატება სამ თვეს. სამ თვეზე მეტ ხანს სიმპტომების არსებობის შემთხვევაში ისმება ქრონიკული პტსა-ს დიაგნოზი. ხოლო როცა, მატრავმირებელ სიტუაციასა და აშლილობის დასაწყის შორის გასულია არანაკლებ ექვსი თვისა, ისმება დიაგნოზი - პტსა მოგვიანებითი დასაწყისით. დაავადების მიმდინარეობა ტალღისებურია, სიმპტომთა ინტენსიობა მატულობს დამატებითი სტრესორების მოქმედებით. პაციენტების 30% შემთხვევებში აღინიშნება გამოჯანმრთელება, 40% პაციენტებს რჩებათ უმნიშვნელო დარღვევები, 20% – ზომიერად გამოხატული და 10% შემთხვევებში მდგომარეობა არ იცვლება ან რთულდება. კარგი პროგნოზის მაჩვენებლად ითვლება: სწრაფი დასაწყისი, ავადმყოფური გამოვლინებების ხანმოკლე ვადა, კეთილსაიმედო პრემორბიდი, ძლიერი სოციალური მხარდაჭერა და დახმარება და სხვა ფსიქიკური და სომატური დაავადებების არარსებობა. დაავადების

გამოსავალი ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად იქნა აღმოჩენილი დახმარება. ყურადღება მისაქცევია აგრეთვე ოჯახის წევრთა ავადმყოფის მდგომარეობაზე რეაგირების საკითხი, რომ არ მოხდეს ზოგიერთი ავადმყოფური ქცევითი გამოვლინების ხელშეწყობა.

პტსა-ის თანმხლები სამედიცინო და სოციალური პრობლემები

ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად გამოყენება; დესტრუქციული ქცევა; მკვლევლობებისა და თვითმკვლევლობების საფრთხე; მოდავეობა, კვერულანტობა, სამსახურის დაკარგვა და ოჯახის დანგრევა.

5. დიაგნოსტიკური კრიტერიუმები

მწვავე სტრესული რეაქცია /F43.0/

მნიშვნელოვნად გამოხატული, გარდამავალი ფსიქიკური აშლილობა, რომელიც განვითარებულია პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებში ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური სტრესის შედეგად, რომელიც გრძელდება დღეებისა, და შესაძლებელია, საათების განმავლობაში. მწვავე სტრესული რეაქციის დროს განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც ინდივიდის მგრძობელობას, ასევე მისი ადაპტაციის უნარს. ტიპურად სიმპტომები შერეული და ცვალებადია, და საწყის ეტაპზე ატარებს გაბრუების ხასიათს ცნობიერების შევიწროვებითა და ყურადღების დაქვეითებით. ინდივიდს არ შეუძლია ადეკვატური რეაგირება გარეგან გამღიზიანებლებზე, შესაძლოა დეზორიენტაციაც. ამ სტადიას შესაძლებელია მოჰყვეს განსვლა გარემო სიტუაციიდან, შეკავების (დისოციაციური სტუპორი) ან პირიქით, აუტიციის და ჰიპერაქტიურობის (ფუგა) სახით. ხშირია პანიკური შფოთვის შეტევის ვეგეტატიური ნიშნები (ტაქიკარდია, ოფლიანობა, გაწითლება). სიმპტომები ჩვეულებრივ თავს იჩენს სტრესის ზეგავლენისთანავე და ქრება ორ-სამ დღეში (ხშირად რამდენიმე საათში). შესაძლებელია ადგილი ქონდეს ნაწილობრივ ან სრულ ამნეზიას თუ სიმპტომატიკა გრძელდება, დიაგნოზი უნდა გადამოწმდეს.

სინონიმები:

- მწვავე კრიზისული რეაქცია ან სიტუაცია;
- ბრძოლით გადაღლა;
- მწვავე ფსიქიკური შოკი.

დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ICD-10-ის მიხედვით (29)

ძლიერი სტრესორის ზემოქმედებას და სიმპტომების აღმოცენებას შორის აუცილებელად უნდა არსებობდეს მკაფიოდ გამოხატული დროში კავშირი; დასაწყისი ჩვეულებრივ მყისიერია ან იწყება რამდენიმე წუთში.

სიმპტომებს, რომელიც ამ დროს აღმოცენდება:

- ა. აქვთ შერეული და ცვალებადი სურათი;
- ბ. წყდება სწრაფად (გრძელდება არაუმეტეს რამდენიმე საათისა) იმ შემთხვევებში, სადაც შესაძლებელია სტრესული სიტუაცია ამოიწუროს. ხოლო იმ შემთხვევებში, სადაც სტრესი გრძელდება, სიმპტომები ჩვეულებრივად ქრებას იწყებს 24-48 სთ-ის შემდეგ და მინიმუმამდე დადის 3 დღის განმავლობაში;

ეს დიაგნოზი არ უნდა იქნას გამოყენებული იმ პირებში, რომელთაც უკვე აღენიშნებათ რაიმე სხვა ფსიქიკური დაავადების სიმპტომები და ეს სიმპტომები უეცრად მწვავედება. ამასთან, ამ დიაგნოზის გამოყენება შესაძლებელია და ადეკვატურიც, ანამნეზში მანამდე არსებული ფსიქიკური აშლილობის დროს.

მწვავე სტრესული რეაქცია (ICD-10-ის მიხედვით F43.0)

- A. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზოგადი სამედიცინო ხასიათის ან ფიზიკური სტრესორის ზემოქმედება;
- B. სიმპტომები აღმოცენდება უშუალოდ სტრესორის მოქმედების შემდეგ, 1 სთ-ის განმავლობაში;
- C. გამოიყოფა სიმპტომთა 2 ჯგუფი; მწვავე სტრესზე რეაქცია შეიძლება იყოს:

F.43.00 - მსუბუქი (შეესაბამება მხოლოდ კრიტერიუმ 1-ის მოთხოვნებს);

F.43.01 - საშუალო სიმძიმის (შეესაბამება კრიტერიუმ 1-ის მოთხოვნებს და თანაარსებობს ნებისმიერი ორი სიმპტომი კრიტერიუმში 2-დან);

F.43.02 - მძიმე (შეესაბამება კრიტერიუმ 1-ის მოთხოვნებს და თან ერთვის 4 სიმპტომი მაინც კრიტერიუმში 2-დან; ან სახეზეა დისოციაციური სტუპორი (F.44.2)).

- D. თუ სტრესორი გარდამავალია ან შეიძლება შემსუბუქდეს მისი ზემოქმედება, სიმპტომთა სიმწვავე უნდა შემსუბუქდეს არაუმეტეს 8 სთ-ში. თუ სტრესორის მოქმედება ხანგრძლივია, მაშინ სიმპტომებმა სიცხოველ უნდა დაკარგოს არაუმეტეს 48 სთ-სა;
- E. დიაგნოზის გამოსარიცხი კრიტერიუმები. რეაქცია უნდა ვითარდებოდეს ICD-10-ში მოცემული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების არარსებობისას (გამონაკლისს წარმოადგენს F41.1 - გენერალიზებული შფოთვითი აშლილობა და F60 - პიროვნული აშლილობა) და სხვა ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის ნებისმიერი ეპიზოდის ამოწურვის შემდეგ არაუგვიანეს 3 თვისა.

1. სრულდება B, C და D კრიტერიუმები გენერალიზებული შფოთვითი აშლილობების კრიტერიუმებიდან (F.41.1);

- 2. ა) მოსალოდნელი სოციალური ურთიერთობებისადმი ამრიდებლობა
- ბ) ყურადღების ველის შევიწროვება
- გ) დეზორიენტაციის გამოვლინება
- დ) სიტყვიერი აგრესია და სიბრაზე
- ე) უიმედობა ან სასოწარკვეთილება
- ვ) არაადეკვატური ან უმიზნო ჰიპერაქტიულობა
- ზ) არაკონტროლირებადი და ძალზე ღრმა დარდი (გლოვის ფენომენი განიხილება კულტურულ სტანდარტებთან შესაბამისობაში)

ადაპტაციური რეაქციების დარღვევა / F43.2/

სუბიექტური დისტრესისა და ემოციური აშლილობის მდგომარეობა, რაც აძნელებს ჩვეულ სოციალურ ურთიერთობებს და საქმიანობას და აღმოცენდება მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ცვლილებებისა და სტრესული სიტუაციების მიმართ ადაპტაციის პერიოდში. სტრესორმა შეიძლება ზიანი მიაყენოს პიროვნების სოციალური გარემოს ინტეგრალურ მთლიანობას (ახლობლის სიკვდილი, განშორება) ან სოციალური დახმარებისა და ღირებულებათა ფართო სისტემებს (მიგრაცია, ლტოლვილის სტატუსი). სტრესორი შეიძლება წარმოდგენდეს ან განვითარების კრიზისული პერიოდებით ან ერთი სოციალური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის სახით (მაგალითად, სკოლაში წასვლა, მშობლად გახდომა, წარუმატებლობა პიროვნულად ღირებულ მიზნის მიღწევაში, სამსახურიდან დათხოვნა). ადაპტაციურ აშლილობათა განვითარებაზე და მათ გამოვლინებათა ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდუალური მგრძობელობა ან მზაობა. ამასთან, ითვლება, რომ სტრესორის მოქმედების გარეშე აღნიშნული კატეგორია არ აღმოცენდება.

ამ დარღვევების დროს შეიძლება გამოვლინდეს: დეპრესიული გუნებ-განწყობა; შფოთვა ან წუხილი (ან ორივე ერთად); პიროვნული განცდა, რომ არ შეუძლია გადაჭრას პრობლემა, დაგეგმოს მომავალი ან დარჩეს მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში; ყოველდღიური საქმიანობის ეფექტურობა ერთგვარად ქვეითდება. მოზარდებში ხშირია ქცევითი აშლილობების და ადაპტაციურ რეაქციების დარღვევების თანდართვა (მიდრეკილება, უპირატესად აგრესიული ქცევებისადმი). კლინიკურ სურათში შეიძლება წამყვანი იყოს მწვავე ან გახანგრძლივებული დეპრესიული რეაქცია ან სხვა აფექტური და ქცევითი აშლილობები.

ადაპტაციური რეაქციების დარღვევები ჩვეულებრივ იწყება სტრესული მოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში და გრძელდება არაუმეტეს ექვსი თვისა (გამონაკლისს წარმოადგენს პროლონგირებული დეპრესიული რეაქცია - F43.21)

სინონიმები:

- კულტურული შოკი;
- რეაქცია უბედურ შემთხვევაზე;
- ჰოსპიტალიზმი ბავშვებში.

ICD-10-ის მიხედვით გამოყოფენ ადაპტაციური რეაქციების დარღვევის შემდეგ სახეებს:

- **ხანმოკლე დეპრესიული რეაქცია, განპირობებული ადაპტაციის დარღვევით.** ტრანზიტორული იოლი დეპრესიული მდგომარეობა, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ თვეს F43.20.
- **გახანგრძლივებული დეპრესიული რეაქცია, განპირობებული ადაპტაციის დარღვევით.** ხანგრძლივად მოქმედი სტრესული სიტუაციის ზეგავლენით მიმდინარე მსუბუქი დეპრესიული მდგომარეობა, რომელიც გრძელდება არაუმეტეს ორი წლისა F43.21.

- **შერეული შფოთვითი და დეპრესიული რეაქცია, განპირობებული ადაპტაციის დარღვევით.** გამოკვეთილი შფოთვითი და დეპრესიული სიმპტომატика, რომლის დონე არ აღემატება ასეთს შერეული შფოთვითი და დეპრესიული აშლილობის დროს - F41.22.
- **ადაპტაციის დარღვევა სხვა ემოციების უპირატესი აშლით.** გამოხატულია ემოციური აშლილობების სხვადასხვა ტიპი მაგ.: შფოთვა, დეპრესია, მოუსვენრობა, დაძაბულობა და მრისხანება. ეს კატეგორია გამოიყენება ბავშვებშიც, როდესაც ადგილი აქვს ენურეზის ან თითის წოვის მსგავს რეგრესულ ქცევებს. საჭიროა განსხვავდეს სხვა შერეული შფოთვითი აშლილობისაგან - F41.23.
- **ადაპტაციის დარღვევა ქცევის უპირატესი დარღვევით.** ძირითად გამოვლინებას წარმოადგენს ქცევითი აშლილობა. იგულისხმება მოზარდთა მწუხარების რეაქცია, რომელიც განაპირობებს აგრესიულ და დისოციალურ ქცევას - F43.24
- **ემოციებისა და ქცევის შერეული აშლილობა განპირობებული ადაპტაციის დარღვევით.** დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს როგორც ემოციური სიმპტომები ასევე ქცევითი აშლილობები F43.25.

სხვა რეაქციები მძიმე სტრესზე /F43.8/

ამ კატეგორიას მიეკუთვნება პიროვნების ნოზოგენური რეაქციები, რომლებიც მძიმე სომატურ დაავადებასთან კავშირში აღმოცენდება და სტრესულ ფაქტორად გვევლინება თვით სომატური დაავადების არსებობა.

პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა, PTSD) /F43.1/

შეყოვნებული, პროტრაგირებული რეაქცია (ხანმოკლე ან ხანგრძლივი), განვითარებული განსაკუთრებით სახიფათო ან კატასტროფული მასშტაბის ისეთი სტრესული მოვლენის საპასუხოდ, რომელიც თითქმის ყველა ინდივიდში იწვევს დისტრესს., პიროვნულმა ხაზებმა ან ანამნეზში ნევროზული დაავადების არსებობამ, შესაძლებელია გააადვილოს პიროვნებაში **პტსა-ს** სიმპტომების აღმოცენება და დაამძიმოს მისი მიმდინარეობა. ამასთან, ეს ფონი არც აუცილებელია და არც საკმარისი იმისათვის, რომ ავსხნათ ამ აშლილობის განვითარება.

გამოვლინდება ტრავმის განმეორებითი განცდა თავსმოხვეული ეპიზოდური მოვლენების ("ფლეშბეკი") ან კომარული სიზმრების სახით, რომლებიც თავს იჩენს გახევების ("გაყინვის") და ერთგვარი ემოციური სინდრომის, ადამიანებისაგან და გარემო მოვლენებისაგან განცალკევების, რეაქციის უქონლობის, ანჰედონის მყარ ფონზე. ამასთან, სუბიექტი გაურბის იმ ქმედებებსა და სიტუაციებს, რაც ტრავმას აგონებს.

ჩვეულებრივ სახეზეა სუსტ გამღიზიანებლებზე ძლიერი ვეგეტატიური რეაქციები, შიშის გაძლიერებული რეაქციები და ინსომნია. ზემოქანმოთვლილ სიმპტომებთან ხშირად თანაარსებობს დეპრესია და შფოთვა, აგრეთვე თვითმკვლელობის აზრებიც. ტრავმის შემდგომი ლატენტიური პერიოდი მოიცავს რამდენიმე კვირას ან თვეს. მიმდინარეობა ტალღისებურია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მოსალოდნელია გამოჯანმრთელება, მცირე შემთხვევებში კი აშლილობა შეიძლება გადაიზარდოს ქრონიკულ მიმდინარეობაში; გაგრძელდეს

მრავალი წლის განმავლობაში და შესაძლოა გადაიზარდოს მყარ პიროვნულ ცვლილებებში.

სინონიმი:

- ტრავმული ნევროზი.

პტსა-ის დიაგნოზი

პტსა-ს დიაგნოსტიკური კრიტერიუმები და კლინიკური გამოვლინებები მოცემულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მეათე გადასინჯვაში - ICD-10 (29) და ფსიქიკური აშლილობების ამერიკულ დიაგნოსტიკურ კლასიფიკაციაში DSM-IV (15).

DSM-IV-ში ეს აშლილობა მოთავსებულია თავში “შფოთვითი აშლილობები“, ხოლო ICD-10-ში თავში “რეაქციები მძიმე სტრესზე და ადაპტაციური დარღვევები“.

ბ. პოსტტრავმული სტრესული აშლილობის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ICD-10-ის მიხედვით (F43.1)

A. პაციენტზე უნდა იმოქმედოს მისთვის ძალზე სახიფათო ან კატასტროფული ხასიათის სტრესულმა მოვლენამ (როგორც ხანმოკლემ, ისევე ხანგძლივმა), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ზოგადი დისტრესი თითქმის ყველა ფსიქიკურად ჯანმრთელ ინდივიდში;

B. მყარი მოგონებანი ან სტრესორის წარმოსახვითი გაცოცხლება თავსმოხვეული რემინესცენციებით, მკაფიო ხატებით, განმეორებადი სიზმრებით, ან დარდის განმეორებადი განცდით - როდესაც პიროვნებაზე მოქმედებს მდგომარეობა (ვითარება), რომელიც ახსენებს ან ასოცირდება სტრესორთან;

C. პაციენტს უნდა აღენიშნებოდეს ფაქტიური განრიდების რეაქცია, მცდელობა თავი აარიდოს სიტუაციებს, რომელიც ახსენებს ან ასოცირდება სტრესორთან (რაც არ შეინიშნებოდა სტრესორის ზემოქმედებამდე);

D. ნებისმიერი, შემდეგი ორიდან:

1. ნაწილობრივი ან სრული ფსიქოგენური ამნეზია სტრესორის მოქმედების პერიოდის მთავარი ფაქტების მიმართ;
2. ფსიქოლოგიური მგრძობელობის მომატების ან აგზნებადობის სიმპტომები (რაც სტრესის ზემოქმედებამდე არ შეინიშნებოდა), რომელიც წარმოდგენილია ნებისმიერი ორი სიმპტომით, შემდეგიდან:
 - ა) ჩაძინების ან ძილის გაგრძელების გაძნელება;
 - ბ) გამღიზიანებლობა ან ფეთქებადობა;
 - გ) ყურადღების კონცენტრაციის უნარის დაქვეითება;
 - დ) სიფხიზლის დონის მომატება;
 - ე) ოთხგორაკის რეფლექსის გაძლიერება (კრთომის რეფლექსი).

E. კრიტერიუმები B, C და D აღმოცენდება 6 თვის განმავლობაში სტრესოგენური სიტუაციის შემდეგ ან სტრესის მოქმედების დასასრულს. 6 თვის შემდეგ აღმოცენებული პტსა - განისაზღვრება, როგორც მოგვიანებული პტსა.

ბ. დიაგნოსტიკური კრიტერიუმები DSM-IV-ის მიხედვით (15)

A. სუბიექტი სტრესის ზემოქმედების ქვეშაა, როცა ერთდროულად არსებობს შემდეგი ორი გარემოება:

1. სუბიექტი განიცდის ან მოწმეა „ცხოვრებისეული სტრესული მოვლენის“ (Life Stress Event), ან ისეთი მოვლენების, როგორცაა სიკვდილი, სიცოცხლის საფრთხე, სერიოზული ფიზიკური დაზიანება, შეურაცხყოფა, ფიზიკური განადგურების მუქარა;
2. სუბიექტის საპასუხო რეაქცია მოიცავს ინტენსიურ შიშს, უმწეობას და საშინელების განცდას.

შენიშვნა: ბავშვებში შეიძლება აღინიშნოს დეზორგანიზებული და აუტირებული ქცევები.

B. მატრავმირებული სიტუაცია პერსისტენტულად, მუდმივად განიცდება შემდეგი გზებით:

1. მომხდარის მუდმივად გამეორება, რაც მოიცავს წარმოდგენებს, აზრებს, აღქმას.

შენიშვნა: ბავშვების თამაშებში ჩანს ტრავმის განმეორებადი თემატიკა.

2. აკვიატებული, დამთრგუნველი სიზმრები ტრავმის შესახებ;

შენიშვნა: ბავშვებში შეიძლება იყოს გაუაზრებელი კომმარული სიზმრები.

3. შეგრძნება და ქცევა, თითქოს სუბიექტი ხელახლა მოხვდა მატრავმირებელ სიტუაციაში (გაცოცხლებული წარმოდგენები, ილუზიები, პალუცინაციები, “Flashback”-ის ეპიზოდები);

შენიშვნა: ბავშვები თამაშით აღადგენენ მატრავმირებელ სიტუაციას.

4. ინტენსიური ფსიქოლოგიური განცდა იმ შინაგან ან გარეგან მიზეზებზე, რომლებიც ახსენებენ ან სიმბოლურად გამოხატავენ ტრავმას;

5. ინტენსიური ფსიქოლოგიური რეაქცია იმ შინაგან ან გარეგან გამღიზიანებლებზე, რომლებიც ახსენებენ ან სიმბოლურად გამოხატავენ ტრავმას.

C. ტრავმასთან ასოცირებული სტიმულებისაგან გაქცევის მუდმივი მცდელობა და სხვა მოვლენებისადმი განურჩევლობა. ეს შეიძლება გამოიხატოს ქვემოთჩამოთვლილიდან სამი ან მეტი ნიშნით:

1. ტრავმასთან დაკავშირებული აზრების, გრძნობების და საუბრების თავიდან აცილება;
2. იმ საქმიანობისაგან, ადგილებისაგან და ადამიანებისაგან გაქცევის მცდელობა, რომლებიც იწვევენ მოგონებებს ტრავმის შესახებ;
3. ტრავმის უმნიშვნელოვანესი ასპექტების აღდგენის შეუძლებლობა;
4. მნიშვნელოვანი საქმიანობისადმი ინტერესის გამოხატული დაქვეითება;
5. გაუცხოებისა და სხვებისაგან განდგომის გრძნობა;
6. ემოციათა სპექტრის შეზღუდვა;
7. მომავლის უპერსპექტივობის განცდა (ფიქრი, რომ არ ეყოლება ოჯახი, შვილები, არ ექნება კარიერა ან ნორმალური ადამიანური ცხოვრება).

D. მომატებული აგზნებადობის მყარი მუდმივი გამოვლინება (არ აღინიშნებოდა ტრავმამდე), რომლებიც გამოვლინდება შემდეგი ორი ან მეტი ნიშნით:

1. ჩაძინების გაძნელება ან ძილის დარღვევა;
2. გამღიზიანებლობა ან განრისხება;
3. ყურადღების კონცენტრაციის გაძნელება;
4. ზესიფხიზლე;
5. მომეტებული შიშის გრძნობა. ხშირი შეკრთომებით;
6. ფიზიოლოგიური რეაქტიულობა იმ მოვლენებთან შეხებისას, რომლებშიც სიმბოლურად აისახება ტრავმული მოვლენის ზოგიერთი ასპექტი (მაგ.: ქალს, რომელიც გაუპატიურებული იყო ლიფტში, შემდგომში ლიფტში შესვლისას აღენიშნება გაძლიერებული ჰიპერჰიდროზი).

E. B, C, D კრიტერიუმების სიმპტომების ხანგრძლივობა უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

პტსა-ის მიმდინარეობა განისაზღვრება, როგორც:

- **მწვავე:** თუ სიმპტომები გრძელდება არაუმეტეს 3 თვისა;
- **ქრონიკული:** თუ სიმპტომები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს;
- **მოგვიანებითი:** თუ სტრესულ მოვლენას და სიმპტომატიკის დასაწყისს შორის გასულია არანაკლებ 6 თვე.

პტსა-ის დიფერენციალური დიაგნოზი (1, 54, 62)

- პტსა-ს დიფერენცირება პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ სხვა აშლილობებისაგან, რომლებიც გამოწვეულია მძიმე სტრესით. პტსა-ს განვითარებისათვის სტრესორი უნდა იყოს უკიდურესად მძიმე, განსხვავებით ადაპტაციური აშლილობებისაგან, როდესაც სტრესორი სხვადასხვა სიმძიმისაა. ადაპტაციური აშლილობის დიაგნოზი ისმება ორ შემთხვევაში: როცა ექსტრემალურ სტრესორზე არ ვითარდება პტსა, ან პტსა-ს მსგავსი სიმპტომები მუდმივად ნაკლებად მატრავმირებელ სიტუაციაზე (მაგ.: სამსახურიდან განთავისუფლება, მეუღლის წასვლა);
- მწვავე სტრესული აშლილობები პტსა-სგან განსხვავდება იმით, რომ სიმპტომები მუდმივად მატრავმირებელი მოვლენის შემდეგ პირველ ორსამ კვირაში და რედუცირდება ერთი თვის განმავლობაში. თუ სიმპტომები რჩება ერთ თვეზე მეტ ხანს მაშინ დიაგნოზი იცვლება პტსა-თი;
- პირველ რიგში, როდესაც ხდება პტსა-ს დიაგნოზის დასმისას საჭიროა განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, ფსიქიკურ ტრავმასთან ერთად ადგილი აქვს თუ არა ქალა-ტვინის ტრავმას (რაც ხშირია). ასევე გასათვალისწინებელია, ხომ არ აქვს ადგილი ალკოჰოლიზმს ან ნარკომანიას. ეს ორივე ფაქტორი შეიძლება განაპირობებდეს ან აძლიერებდეს პტსა-ს სიმპტომატიკას, წარმოადგენს რა მის ორგანულ მიზეზს;
- ფსიქიატრიული დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გატარდეს ხელოვნურად დემონსტრირებულ ფსიქიკურ აშლილობებთან,

სიმულაციასთან, სხვადასხვა პიროვნულ აშლილობასთან, შიზოფრენიასთან, დეპრესიასთან, ობსესიურ-კომპულსიურ აშლილობასთან, პანიკურ რეაქციებთან და გენერალიზებულ შფოთვით აშლილობასთან.

გამოკვლევის სქემა

- ა. კლინიკური ინტერვიუ, ფსიქიკური სტატუსის შეფასება;
- ბ. ნერვული სისტემის შეფასება;
- გ. გამორიცხეთ წამალდამოკიდებულება და ალკოჰოლიზმი;
- დ. დიაგნოსტიკა ხდება პტსა-ის მოზრდილთა კოთხვართ, რომელიც უოტსონის მიერაა მოწოდებული:

პტსა-ის კითხვარი მოზრდილთათვის (უოტსონის)

სახელი, გვარი, ასაკი

ინსტრუქცია: გამომცდელმა უნდა წაუკითხოს ცდის პირს A-1 (საჭიროებისას A-2) და შეავსოს შესაბამისი ცარიელი უჯრები. გამომცდელი ავსებს აგრეთვე A-3 უჯრედსაც, ხოლო შემდეგ გამოსაცდელ პირს აწოდებს შეფასების სკალას (გასაღებს). გამომცდელი ვალდებულია ხმამაღლა წაუკითხოს სკალის ყველა პუნქტი და სთხოვოს გამოსაცდელ პირს მოახდინოს თვითშეფასება, თითოეული პუნქტზე. გამომცდელი იწერს პასუხს და გადადის შემდეგ პუნქტზე. საბოლოოდ, გამომცდელი ავსებს სკალის შემაჯამებელ ნაწილს.

A-1 გადაგიტანიათ თუ არა ძალზე უჩვეულო და, ამავე დროს, ძალზე საშიში მოვლენა, რომელიც შესძრავდა ნებისმიერ ადამიანს (მაგ. საომარი მოქმედებანი)?

დიახ -----.

რა შეგემთხვათ? -----

(A-1-ზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, გამოტოვეთ A-2 და გადადით A-3-ზე),

A-2. A-1-ზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ცდის პირს ჰკითხეთ “რა იყო ყველაზე საშიში და საზარელი მოვლენა, რაც თქვენ გადაგიტანიათ?”

A-3 თუ მოვლენა, აღნიშნული A-1 A-2 პუნქტებში, არის როგორც უჩვეულო (“სცილდება ნორმალური ადამიანური გამოცდილების საზღვრებს”), ასევე მეტად ძლიერი (“მოსალოდნელია გამოიწვიოს სტრესისათვის დამახასიათებელი სიმპტომები ნებისმიერ ადამიანში”), იგი განისაზღვრება, როგორც ტრავმა. თუ A-1, A-2 პუნქტებიდან ერთ-ერთი არ იქნა გამოვლენილი, სავარაუდოა, რომ გამოსაცდელ პირს ტრავმა არ გადაუტანია.

განუცდია თუ არა გამოსაცდელ პირს ფსიქოტრავმა: დიახ ----- არა -----

რა ასაკში გადაიტანა ტრავმა: ----- თარიღი: -----

(მიაწოდეთ საკვლევი პირს შეფასების სკალა და სთხოვეთ შეარჩიოს მომდევნო შეკითხვებზე პასუხი).

შეფასების სკალა

1. არა, არასდროს
2. ძალიან მცირე
3. არარსებითად, ზოგჯერ, ხანდახან
4. ნაწილობრივ, ჩვეულებრივ, საშუალოდ
5. ხშირად, ცოტაოდენზე მეტად
6. ძლიერ, საკმაოდ ხშირად
7. უკიდურესად, ყოველთვის.

B-1	გაქვთ ამდელვებელი (წონასწორობიდან გამომყვანი) მოგონებები სტრესორის შესახებ, რომელიც დროდადრო იძულებით აღწევს (გზას იკაფავს) თქვენს მესხიერებაში	
B-2	გაქვთ განმეორებადი უსიამოვნო სიზმრები სტრესორის შესახებ	
B-3	ოდესმე მოულოდნელად გიმოქმედიათ ან გქონიათ შეგრძნება, თითქოს სტრესორი კვლავ განმეორდა (ფლეშბეკი, ილუზიები, ჰალუცინაციები ან სხვა სახით მოვლენის “გაცოცხლება”, თუნდაც ნასვამ მდგომარეობაში ან უეცარი გაღვიძებისას)	
B-4	ძლიერ გაღიზიანებთ ის საგნები (მოვლენები), რაც სტრესორს გახსენებთ	
C-1	გიცდიათ ოდესმე თავი აგერიდებინათ სტრესორზე ფიქრისათვის ან იმ გრძნობისათვის, რომლებიც ასოცირებულნი არიან სტრესორთან?	
C-2	გიცდიათ ზოგჯერ თავი აგერიდებინათ იმ საქმიანობისათვის და სიტუაციებისათვის, რომლებიც გახსენებენ სტრესორს?	
C-3	ხომ არ შეგინიშნავთ, რომ ზოგჯერ ვერ იხსენებთ მოვლენასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტებს, ეპიზოდებს ან ვითარებას?	
C-4	ხომ არ დაგიკარგავთ ინტერესი იმ საგნებისადმი, რაც თქვენთვის ძლიერ მნიშვნელოვანი იყო სტრესულ მოვლენამდე?	
C-5	გრძნობთ ემოციურ გასადავებას და შეზღუდულობას სხვა ადამიანებთან შედარებით სტრესორის მოქმედების შემდეგ?	
C-6	ყოფილა შემთხვევები, როცა თქვენ გრძნობდით, რომ არ შეგიძლიათ ემოციათა გამოხატვა ისე სრულად და თავისუფლად, როგორც ადრე?	
C-7	მოვლენის შემდეგ თქვენ გქონდათ პერიოდები, როცა ფიქრობდით, რომ აღარ გაქვთ მომავალი, შეუძლებელია შექმნათ ბედნიერი ოჯახი, მიაღწიოთ მაღალ თანამდებობას ან დიდხანს იცოცხლოთ?	
D-1	მოვლენის შემდეგ დროდადრო გიჭირთ ჩაძინება ან შემცირებული გაქვთ ძილის ხანგრძლივობა	
D-2	მოვლენის შემდეგ დროდადრო უფრო ადვილად ღიზიანდებით ან მოთმინებიდან გამოდიხართ	
D-3	მოვლენის შემდეგ იყო პერიოდები, როცა ჩვეულებრივზე მეტად გიჭირდათ კონცენტრირება და ყურადღების მოკრეფა	
D-4	მოვლენის შემდეგ იჩინებდით მეტ სიფრთხილეს ან გადაჭარბებულ ყურადღებას საშიში ხმაურის ან სხვა სახის გამღიზიანებელთა მიმართ, ვიდრე ადრე	

D-5	მოვლენის შემდეგ დროდადრო მოულოდნელი ხმაური, მოძრაობა ან შეხება თქვენ გაფრთხობთ უფრო მეტად, ვიდრე ადრე	
D-6	მოვლენასთან (სტრესორთან) დაკავშირებული ფაქტები, ნივთები, მოგონებები თქვენში იწვევს ოფლიანობას, სუნთქვის შეკვრას, კანკალს, დაძაბულობას ან მათზე რეაგირებთ სხვა ფიზიკური გამოვლინებით.	

E-1 – E-2 შეკითხვებზე გაეცით პასუხი: “დიახ” ან “არა”

E-1	ეს პრობლემები თქვენ გაქვთ სტრესორის ამოქმედების შემდეგ პერიოდულად, სულ მცირე თვეში 2-ჯერ მაინც	
E-2	ეს პრობლემები გქონდათ რამდენიმეჯერმე გასული თვის თითქმის ყოველ კვირაში	
E-3	როდის გაგიჩნდათ პირველად აღნიშნული პრობლემები (თვე, წელი)?	

შეჯამება

შეესაბამება თუ არა პასუხები DSM-ის კრიტერიუმებს:	დიახ	არა
A-სექტორი (ტრავმის ისტორია) დადებითი პასუხი A-3 პუნქტში		
B -სექტორი (ტრავმის განმეორებითი განცდა) სულ მცირე ერთი 4-ქულიანი შეფასება ან უფრო მაღალი B1, B-2, B-3 და B-4 პუნქტებზე		
C-სექტორი (ტრავმაზე ასოცირებული სტიმულებისათვის თავის არიდება) სულ მცირე სამი 4-ქულიანი შეფასება ან უფრო მაღალი C-1, C-2, C-3, C-4, C-5, C-6 და (ან) C-7 პუნქტებზე		
D-სექტორი სულ მცირე ორი “4” ქულიანი შეფასება ან უფრო მეტი D-1, D-2, D-3, D-4, D-5 და/ან D-6 პუნქტებზე		

ღიაბნობი

გახანგრძლივებული PTSD (დადებითი პასუხი შემაჯამებელ A,B,C,D-სექტორებსა და E-1 პუნქტზე გახანგრძლივებული PTSD		
მიმდინარე PTSD დადებითი პასუხი შემაჯამებელ A,B,C,D-სექტორებსა და E-2 პუნქტზე მიმდინარე PTSD		
PTSD-ის ზღვრული სიმწვავე (შეაჯამეთ ქულები B-1-დან D-6-ის ჩათვლით)		

გამოკვლევის თარიღი: -----

ხელმოწერა: -----

პტსა-ის მკურნალობის სქემა: (1, 20, 21, 54, 62, 64)

მკურნალობა ნაჩვენებია პაციანტთა უმრავლესობისათვის, რომლის მდგომარეობა კვალიფიცირებულია ICD-10-ის ან DSM-IV-ის კრიტერიუმების შესაბამისად **მწვავე რეაქცია სტრესზე და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა)**. მკურნალობის მიზანია მწვავე სიმპტომების რედუქცია, ტრავმასთან დაკავშირებული თანმხლები მდგომარეობების პრევენცია, ადაპტაციური უნარის გაძლიერება, დაცულობის ფსიქოლოგიური შეგრძნების აღდგენა, გადატანილი ტრავმული მოვლენის გენერალიზაციისაგან პაციენტის დაცვა და გამწვავებების პრევენცია (62).

არსებობს სამი ძირითადი ასპექტი, რის შესაბამისადაც უნდა ვმართოთ პტსა-ის დიაგნოზის მქონე შემთხვევა:

1. განათლება;
2. ფსიქოსოციალური დახმარება და/ან ფსიქოთერაპია;
3. ფსიქოფარმაკოთერაპია.

განათლება

- პირველადი ჯანდაცვის სამსახურების, რაშიც უმთავრეს როლს ასრულებს ზოგადი პროფილის ექიმი, ძირითადად ევალუატი ტრავმის მსხვერპლისათვის აუცილებელი ცოდნის (ინფორმაციის) დაუყოვნებლივ მიწოდება. (**C დონის მტკიცებულება - 62**);
- პაციენტებისათვის აუცილებელია ახსნა, რომ შესაძლოა ჰქონდეთ შფოთვა, დეპრესია, გამღიზიანებლობა, ღამის კოშმარები და ფლემუბეკები; და რომ ეს სიმპტომები მატრავმირებელ, სტრესულ მოვლენაზე ნორმალური რეაქციის ნაწილია;
- რეკომენდებულია, რომ პირველადი ჯანდაცვის ექიმებმა “ასწავლონ” პაციენტებს, რომ მათ მეტი ისაუბრონ ტრავმულ გამოცდილებაზე მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან, ვინაიდან ემოციათა “განიავება” იმ ადამიანებთან, რომელსაც ვენდობით, ძალზე მნიშვნელოვანია. ექიმებს, ამავე დროს უნდა ახსოვდეთ, რომ ზოგ ადამიანს გაუჭირდება ამის განხორციელება, ისინი ამჯობინებენ დისტანცირება მოახდინონ საკუთარი გამოცდილებიდან (“გაიყინონ”, “გაცივდნენ”) და ამ თემაზე საერთოდ არ ისაუბრონ;
- პაციენტების ფსიქოგანათლება უნდა გაგრძელდეს რჩევით, რომ სტრესის შემდგომ, ხანმოკლე დროის მანძილზე მათ ყურადღება გაამახვილონ ცხოვრების ჯანმრთელ წესზე და თავი აარიდონ ალკოჰოლის, ნიკოტინის და ზოგიერთი პრეპარატის ჭარბ მოხმარებას, რადგან დადასტურებულია, რომ მწვევლებში იზრდება სიგარეტის და ალკოჰოლის მოხმარება.

ფსიქოსოციალური დახმარება (5, 43, 48)

- პირველი ორი კვირის განმავლობაში ფსიქოსოციალური თერაპია დახმარების უმთავრესი ფორმაა;
- უნდა განისაზღვროს პირველადი ინტერვენციის აუცილებლობა და მოცულობა;

- ერთი ან ორი კვირის კონსულტაცია საკმარისია, რომ პაციენტმა გადალახოს ემოციური დისტრესი და მას ჩამოუყალიბდეს დაცულობის განცდა.
- კონსულტაციები გვეხმარება შევამციროთ შიში და თავიდან ავიცილოთ მომდევნო პერიოდის სტრესორები.

ფსიქოსოციალური დახმარება და/ან ფსიქოთერაპია (43, 49)

- ფსიქოსოციალური დახმარება პირველადი დახმარების უმთავრესი მიზანი უნდა გახდეს, განსაკუთრებით პირველი ორი კვირის განმავლობაში;
- ამავე პერიოდში უნდა განისაზღვროს პირველადი ინტერვენციის აუცილებლობა და მოცულობა;
- დადგენილია, რომ ერთი ან ორი კონსულტაცია (counseling sessions) ხშირად საკმარისია, რომ პაციენტმა გადალახოს ემოციური დისტრესი და მას ჩამოუყალიბდეს დაცულობის გრძობა - სწორედ ეს არის მთავრი ტრავმირებული პაციენტის კეთილდღეობისათვის. კონსულტაციები დაგვეხმარება მინიმუმამდე დავიყვანოთ არა მხოლოდ შიში, რაც პტსა-ის დერძული სიმპტომია, არამედ თავიდან ავიცილოთ მომდევნო პერიოდის საფრთხეები, რასაც აწყდებიან, მაგალითად, დენილები მათი ცხოვრებისეული პრობლემების გამო. (46; 59; 60 C დონის მტკიცებულება);
- მედიკოსთა მოსაზრებები იყოფა იმ საკითხში, რომელიც ძილის პრობლემებთანაა დაკავშირებული. დღეს რეკომენდებულია, რომ თუ პაციენტს ზედიზედ 4 ღამის განმავლობაში აღენიშნება, უძილობა, ექიმმა უნდა მოახდინოს ამ პრობლემის სიმპტომური გადაჭრა, სურველია ბენზოდიაზეპინების რიგის საძილე საშუალებების გარეშე.
- მეორე ან მესამე კვირის ბოლოს თუ პაციენტი კვლავ რჩება დისტრესულ სიტუაციაში, არაკომუნიკაბელური, წარუმატებელი ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორც ჩანს, პტსა-ის განვითარება გარდაუვალია და მისთვის სპეციალიზებული დახმარება აუცილებელი ხდება.
- დებრიფინგი არის პირველი ეტაპის – ანუ მწვავე ეტაპის მართვის უმთავრესი იარაღი. ამასთან, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დადასტურებული, თუ რამდენად ახდენს იგი პტსა-ის განვითარების პრევენციას. (63 – C დონის მტკიცებულება; 51 - A დონის მტკიცებულება)

ფსიქოთერაპია (1, 20, 21, 58, 62)

- დადასტურებულია, რომ კოგნიტიურ - ქცევითი თერაპია პტსა-ის მკურნალობის ყველაზე კარგად შესწავლილი და ეფექტური მეთოდია. ის მოიცავს ექსპოზიციურ თერაპიას, სტრესის ინოკულაციურ (იმუნიზაციურ) ტრეინინგსა და კოგნიტიურ თერაპიას. ყველა ეს მეთოდი (ანუ ტექნიკა) სპეციფიკური არის პტსა-ის მენეჯმენტისათვის, ვინაიდან ფოკუსირებულია მატრავმირებელ მოვლენაზე. (37 - C დონის მტკიცებულება) (53 - A დონის მტკიცებულება);

- ექსპოზიციური თერაპიის დროს პაციენტს მიემართავთ ტრავმულ მოგონებებზე. ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია დახარჯული დროის თვალსაზრისით და წარმატება მიიღწევა 9-12 სესიონში;
- თუ ექსპოზიციურ თერაპიას ვუმატებთ სხვა სახის კოგნიტიურ-ქცევით თერაპიას, ეს საკითხი საჭიროებს გასაკუთრებულ სიფრთხილეს ექიმ-პაციენტის ურთიერთობაში. შესაბამისი ნდობის გარეშე, შესაძლოა პაციენტმა თავი აარიდოს ფსიქოთერაპიულ მკურნალობას და ეს გამოვლინდება სესიონებზე არარეგულარული გამოცხადებით. თვითნებურად მკურნალობის შეწყვეტა, აშშ-ს მონაცემებით დაახლოებით 20%-ის ფარგლებში ხდება, რაც სხვა შფოთვითი აშლილობების შემთხვევების მსგავსია.

მკურნალობის ალგორითმი (1, 20, 21, 31, 47; 62, 64)

პტსა-ის სამკურნალოდ გამოიყენება მრავალი ფსიქოთერაპიული ტექნიკა და ფსიქოფარმაკოლოგიური საშუალება, რომელთაც ამ თავში მიმოვიხილავთ. ეს რეკომენდაციები ემყარება კლინიკურ გამოკვლევებით მიღებულ მტკიცებულებებს.

- პაციენტთა უმრავლესობისათვის, რომლის მდგომარეობა კვალიფიცირებულია ICD-10-ის ან DSM-IV-ის კრიტერიუმების შესაბამისად – პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, ნაჩვენებია მკურნალობის დაწყება;
- მკურნალობის გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტის უფლება თანხმობა განაცხადოს მკურნალობაზე; დაავადების სიმწვავე, თანმხლები დაავადებები, გართულებები, ნარკომანია ან სუიციდის რისკი, ასევე – ადრე ჩატარებული მკურნალობა. ზოგ ქვეყანაში, მკურნალობის ხარჯებიც შეიძლება იქნას გათვალისწინებული;
- პტსა-ის დროს ექიმის სტრატეგია მიმართულია 5 მიზნის მისაღწევად:
 1. შემცირდეს ბაზისური (დერძული) სიმპტომები;
 2. გაუმჯობესდეს სტრესისადმი მდგრადობა;
 3. გაუმჯობესდეს ცხოვრების ხარისხი;
 4. შემცირდეს ინვალიდობა;
 5. შემცირდეს კომორბიდობა.
- მკურნალობის ვარიანტებია – მედიკამენტური მკურნალობა, ფსიქოთერაპია ან ამ ორის კომბინაცია;
- მედიკამენტური მკურნალობის დაწყებამდე, პაციანტს უნდა ავუხსნათ პტსა-ის გამომწვევი მექანიზმები;
- პაციენტი, რომელსაც წინასწარ ავუხსნით მკურნალობის სარგებელსა და შესაძლო გვერდით მოვლენებს უკეთ ემორჩილება მკურნალობის სქემას;
- პტსა-ის მქონე პაციენტები ზოგჯერ გამოხატავენ უსაფუძვლო ან გაზვიადებულ შიშებს ფსიქოფარმაკოლოგიური პრეპარატების გვერდითი მოვლენების მიმართ (მაგ: მიჩვევის შიში);
- გამოხატული პლაცებო-ეფექტი კარგად ცნობილი ფენომენია ზოგადად შფოთვითი აშლილობების და, კერძოდ, პტსა-ის მკურნალობის პროცესში;

- არ არის რეკომენდებული ისეთი მკურნალობის გამოყენება, რომელსაც პლაცებოზე მაღალი ეფექტურობა არ გააჩნია, არ იწვევს სპონტანურ რემისიას ან რეგრესიის ტენდენციას სუსტი აქვს. პლაცებო ეფექტი დროთა განმავლობაში შეიძლება შესუსტდეს. უფრო მეტიც, მსგავსი არასრულყოფილი მკურნალობის გამოყენებით, პაციენტმა შეიძლება უარი თქვას ხელმისაწვდომ ეფექტურ ალტერნატიულ მკურნალობაზეც;
- დადასტურებული ეფექტურობის არამქონე მედიკამენტების გამოწვევით მნიშვნელოვანი დანახარჯები დააწვევა ჯანდაცვის სისტემას და საზოგადოებას (32 - ექსპერტული მოსაზრება).

რეკომენდაცია 1. მკურნალობის სტრატეგიის შერჩევა

1.1. მკურნალობის თანმიმდევრობის განსაზღვრა

პტსა-ის მკურნალობის დაწყებისას გასათვალისწინებელია, თუ რომელ სტრატეგიას მიენიჭება უპირატესობა: მხოლოდ ფსიქოთერაპიას, მხოლოდ მედიკამენტურ ჩარევას თუ ამ ორის კომბინაციას. ამ არჩევანის დროს გასათვალისწინებელია პაციენტის ასაკი, მდგომარეობის სიმწვავე და მიმდინარეობის ტიპი, რაც ასახულია ცხრილში.

ასაკი	სიმწვავე	მწვავე პტსა	ქრონიკული პტსა
ბავშვთა ასაკი, ადრეული მოზარდობის ხანა	მსუბუქი	დაწყება ფსიქოთერაპიით	დაწყება ფსიქოთერაპიით
	მწვავე	დაწყება ფსიქოთერაპიით ან მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაცია	დაწყება ფსიქოთერაპიით ან მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაცია
გვიანი მოზარდობის ხანა, ზრდასრული ასაკი	მსუბუქი	დაწყება ფსიქოთერაპიით	დაწყება ფსიქოთერაპიით
	მწვავე	დაწყება ფსიქოთერაპიით ან მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაცია	დაწყება ფსიქოთერაპიით ან მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაცია
გერიატრიული ასაკი	მსუბუქი	დაწყება ფსიქოთერაპიით	დაწყება ფსიქოთერაპიით
	მწვავე	დაწყება ფსიქოთერაპიით ან მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაცია	დაწყება ფსიქოთერაპიით ან მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაცია

12. მკურნალობის თანმიმდევრობის განსაზღვრა იმ შემთხვევებში, როცა პტსა-ის თანმსვლელობა სხვა ფსიქიკური აშლილობები

თანმსვლელობა აშლილობა	რეკომენდებული სტრატეგია
დეპრესიული აშლილობა	მკურნალობა დაიწყეთ მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაციით
ბიპოლარული აშლილობა	მკურნალობა დაიწყეთ მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაციით
სხვა შფოთვითი აშლილობები (მაგ. პანიკური აშლილობა, სოციალური ფობია, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, გენერალიზებული აშლილობა	მკურნალობა დაიწყეთ მედიკამენტების და ფსიქოთერაპიის კომბინაციით
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ან ნარკომანია	მსუბუქი ფორმებისას მიზანშეწონილია ერთდროულად დაიწყოს როგორც ნარკომანიის, ისე პტსა-ის მკურნალობა; ხოლო მძიმე შემთხვევებში უმჯობესია პირველად უმკურნალოთ წამალდამოკიდებულების პრობლემას.

13. მკურნალობის ინიციალურ ფაზაში პაციენტზე მზრუნველობა

მკურნალობის ინიციალურ სტადიაში ექსპერტები მიზანშეწონილად თვლიან, 60 წთ-იანი ინდივიდუალური ფსიქოთერაპიის ჩატარებას კვირაში ერთხელ. მედიკამენტური მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად მკურნალობის პირველი თვის განმავლობაში რეკომენდებულია ყოველკვირეული ვიზიტი ექიმთან.

	რეკომენდაციები	ასევე მისაღებია
ფსიქოთერაპიული სესიების სიხშირე	ყოველკვირეული	ორ კვირაში ერთხელ
ფსიქოთერაპიული სესიების ხანგრძლივობა	60 წთ.	45 წთ ან 60 წთზე მეტიც. მაგალითად, ექსპოზიციური თერაპიისას შესაძლოა ხანგრძლივობა გაიზარდოს
ფსიქოთერაპიული სესიის ფორმატი	ინდივიდუალური	ინდივიდუალური და ჯგუფური ან ოჯახური თერაპიის კომბინაცია
ექიმთან ვიზიტი	პირველ თვეში – ყოველკვირეული ვიზიტები, შემდეგ თვეებში – ორ კვირაში ერთხელ	3 თვის მანძილზე ყოველკვირეული ვიზიტები ყოველ 2 კვირაში ერთხელ მკურნალობის სამი თვის მანძილზე

რეკომენდაცია 2. საწყისი ფსიქოთერაპიის შერჩევა

- დადასტურებულია, რომ კოგნიტიურ - ბიჰევიორული თერაპია პტსა-ის მკურნალობის ყველაზე შესწავლილი მეთოდია და ეფექტურიც. ის მოიცავს ექსპოზიციურ თერაპიას, სტრესის ინოკულაციაზე (იმუნიზაციაზე) ორიენტირებულ სავარჯიშოებს და კოგნიტიურ თერაპიას. ყველა ეს მეთოდი (ანუ ტექნიკა) სპეციფიკური არის პტსა-ის მარჯისთვის, ვინაიდან ფოკუსირებულია მატრავმირებელ მოვლენაზე. (38,39,50 - A დონის მტკიცებულებები);
- ექსპოზიციური თერაპიის დროს პაციენტს მივმართავთ ტრავმულ მოგონებებზე. ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია, რადგან წარმატების მიღწევა მცირე დროში, 9-12 სესიონში არის შესაძლებელი;
- თუ ექსპოზიციურ თერაპიას ვუმატებთ სხვა სახის კოგნიტიურ-ქცევით თერაპიას, ეს საკითხი საჭიროებს გასაკუთრებულ სიფრთხილეს ექიმ-პაციენტის ურთიერთობაში. შესაბამისი ნდობის გარეშე, შესაძლოა პაციენტმა თავი აარიდოს ფსიქოთერაპიულ მკურნალობას და ეს დაუმორჩილება გამოვლინდება სესიონებზე არარეგულარული გამოცხადებით;
- თვითნებურად მკურნალობის შეწყვეტა, აშშ-ს მონაცემებით დაახლოებით 20%-ის ფარგლებში ხდება, რაც სხვა შფოთვითი აშლილობების მონაცემების მსგავსია.

ყველაზე ეფექტური ფსიქოთერაპიული ტექნიკების ჩამონათვალი წარმოდგენილია ცხრილის სახით.

<p>შფოთვის მართვა (სტრესის ინოკულაციის სავარჯიშოები) მიზანშეწონილია შემდეგი ტექნიკებით</p> <ul style="list-style-type: none"> • რელაქსაციური ტექნიკა – პაციენტებს ასწავლით შიშისა და შფოთვის კონტროლს დიდი კუნთების ჯგუფების თანმიმდევრული რელაქსაციით; • სუნთქვითი სავარჯიშოები – პაციენტს ასწავლიან ნელ, მუცლისმიერ სუნთქვას, რაც რელაქსაციის უწყობს ხელს და თავიდან აცილებს ჰიპერვინტილაციას თანმხლები არასასიამოვნო და ხშირად შემაწუხებელი ფიზიკური შეგრძნებებით; • პოზიტიური გააზრება და საკუთარ თავთან საუბარი (ინტერნალური დიალოგი) – პაციენტს ასწავლით, როგორ ჩაანაცვლოს სტრესორთან შეხების მოლოდინში წარმოქმნილი უარყოფითი ფიქრები (მაგ.: “მე შეიძლება კონტროლი დაგკარგო”) პოზიტიური აზრებით (მაგ.: “მე ეს ადრე შევძელი და ეხლაც შევძლებ!”); • თვითდაჯერებულობის განმტკიცება – პიროვნებას ასწავლით საკუთარი სურვილების, აზრების და ემოციების თავისუფლად გამოხატვას.
<p>კოგნიტიური თერაპია</p>
<p>ექსპოზიციური თერაპია</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოსახვითი ექსპოზიცია - ტრავმული მოგონებების განმეორებითი ემოციური თხრობა, სანამ აღარ გამოიწვევს დისტრესის მაღალ დონეს; • In vivo ექსპოზიცია – შეჯახება ისეთ სიტუაციებთან, რომელიც მართალია უსაფრთხოა, მაგრამ პაციენტისათვის ასოცირებულია

ტრავმასთან და შიშის გამომწვევია.
თამაშით თერაპია – გამოიყენება ბავშვთა კონტინგენტში
<p>ფსიქოგანათლება</p> <ul style="list-style-type: none"> პტსა-ის სიმპტომების, მკურნალობის ფორმების და გამოსავლის შესახებ პაციენტისა და მისი ოჯახისათვის ინფორმაციის მიწოდება. <p>ტრავმის მსხვერპლისათვის აუცილებელია ცოდნის (ინფორმაციის) მიწოდება ანუ მათ უნდა ავუხსნათ, რომ შესაძლოა ჰქონდეთ შფოთვა, დეპრესია, გამღიზიანებლობა, კოშმარები და ფლეშბეკები; და რომ ეს სიმპტომები არის ნაწილი ნორმალური რეაქციისა მატრავმირებელ, სტრესულ მოვლენაზე. ექიმმა უნდა “ასწავლოს” პაციენტებს, რომ რაც შეიძლება მეტი ისაუბრონ ტრავმულ გამოცდილებაზე მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან, ვინაიდან ემოციათა “განთავსება” იმ ადამიანებთან, რომელსაც ვენდობით, ძალზე მნიშვნელოვანია. ექიმებს, ამავე დროს უნდა ახსოვდეთ, რომ ზოგ ადამიანს გაუჭირდება ამის განხორციელება და უფრო მეტიც, ისინი ამჯობინებენ დისტანცირება მოახდინონ საკუთარი გამოცდილებიდან (“გაიყინონ”, “გაცივდნენ”) და ამ თემაზე საერთოდ არ ისაუბრონ.</p> <p>პაციენტების განათლება უნდა გაგრძელდეს რჩევით, რომ სტრესის შემდგომ, ხანმოკლე დროის მანძილზე მათ ყურადღება გაამახვილონ ცხოვრების ჯანმრთელ წესზე და თავი აარიდონ ალკოჰოლის, ნიკოტინის და ზოგიერთი პრეპარატის ჭარბ მოხმარებას, რადგან დადასტურებულია, რომ მატრავმირებელი მოვლენების შემდეგ მწვეველებში იზრდება სიგარეტის მოხმარება. ასევე, ალკოჰოლთან მიმართებაშიც.</p>

2.1. ფსიქოთერაპიული ტექნიკის სამიზნე სიმპტომები

პტსა-ის მკურნალობაში ყველაზე წარმატებულად გამოიყენება სამი ტიპის ფსიქოთერაპიული ტექნიკა: ექსპოზიციური თერაპია, კოგნიტიური თერაპია და შფოთვის მართვა. მაგრამ ყოველ მათგანს თავისი სამიზნე სიმპტომები აქვს, რაც ასახულია მომდევნო ცხრილში.

დომინანტური სიმპტომი	რეკომენდებული ტექნიკა	ასევე მისაღებია
თავსმოხვეული (ინტრუზიული) ფიქრები	<ul style="list-style-type: none"> ექსპოზიციური თერაპია 	<ul style="list-style-type: none"> კოგნიტიური თერაპია შფოთვის მართვა ფსიქოგანათლება თამაშით თერაპია ბავშვებში
ფლეშბეკები	<ul style="list-style-type: none"> ექსპოზიციური თერაპია 	<ul style="list-style-type: none"> შფოთვის მართვა კოგნიტიური თერაპია ფსიქოგანათლება
